ხელშეკრულება 06/11

ქ.ონი 18 ნოემბერი 2014წელი

ჩვენ ქვემოთ ხელის მომწერნი, ონის მუნიციპალიტეტის გამგეობა, მისი გამგეგლის, გიორგი ლობჯანიძის სახით, წოდებული შემდგომში „დამკვეთი“ და შპს „გიმი“, მისი დირექტორის, გურამ რაზმაძის სახით, წოდებული შემდგომში „შემსრულებელი“, ვდებთ ამ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1.ხელშეკრულების საგანი

1.1. „დამკვეთი“ ავალებს, ხოლო „შემსრულებელი“ ივალებს განახორციელოს: საძიებო-საპროექტო სამუშაოები ონის მუნიციპალიტეტის სოფლებში: გონაში- მდ. ჩვეშურზე გადასასვლელი ხიდი, გლოლაში-ღვარცოფ საწინააღმდეგო და შარდომეთში-მეწყერ საწინააღმდეგო ღონისძიებები;

2.ღირებულება და გადახდის ვადები

1.2. სამუშაოს სახარჯთაღრიცხვო ღირებულება შეადგენს 8 000 (რვა ათასი) ლარს დღგ-ს გარეშე;

2.2 ანგარისწორების საფუზველს წარმოადგენს ორივე მხარის მიერ დამოწმებული შესრულებული სამუშაოების მიღება-ჩაბარების აქტი. ამის შემდეგ ხელშეკრულება ითვლება შესრულებულად;

2.3. შესრულებული სამუშაოების მთლიანი ღირებულების გადახდა მოხდება დამკვეთის მიერ მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში.

3.შესრულების ვადები

3.1. საძიებო-საპროექტო სამუშაოები დაიწყება ხელშეკრულების ხელოწერისთანავე;

3.2. სამუშაო ითვლება შესრულებულად მხარეების მიერ მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერის შემდეგ;

3.3. სამუშაოების დასრულების ბოლო ვადაა ერთი თვე ხელშეკრულების ხელმოწერიდან.

4.ფორს-მაჟორი

4.1. მხარეები თავისუფლდებიან ურთიერთვალდებულებების შესრულებისაგან ისეთი გადაულახავი გარემოებების დადგომისას, როგორიცაა ომი, ხანძარი, სტიქია (დიდთოვლობა, წყალდიდობა) და სხვა პირობები, რომლებიც აფერხებენ და შეუძლებელს ხდიან მხარეების მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობების განხორციელებას.

5. დამატებითი დებულებები

5.1. ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა დასაშვებია მხარეთა შორის წინასწარი შეთანხმებით, წერილობითი ფორმით;

5.2. მხარეთა შორის წამოჭრილი ყველა საკითხის გადაწყვეტა ხდება ურთიერთ მოლაპარაკების საფუძველზე;

5.3. სადაო საკითხის წამოჭრიდან 20 (ოცი) კალენდარული დღის განმავლობაში შეუთანხმებლობის შემთხვევაში, დავას განიხილავს და გადაწყვეტს სასამართლო;

5.4. ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის დამნაშავე მხარე დაზარალებულს უხდის ხელშეკრულების თანხის 0.3%-ს ყოველ გადაცილებულ დღეზე.

6. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

6.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადაა 1 (ერთი) თვე ხემოწერის დღიდან;

6.2. ხელშეკრულება შედგენილია 2 (ორი) თანაბარი ძალის მქონე ეგზემპლარად.

7. მხარეთა რეკვიზიტები

"დამკვეთი"	"შემსრულებელი"
ონის მუნიციპალიტეტის გამგეობა	შპს "გიმი"
მის.: ქ. ონი, აღმაშენებლის მოედ. №1	მის.: გამსახურდიას გამზ. №39
ს/კ 237978275	ს/კ 404950870
ს/ს "ლიბერთი ბანკი"-ს ონის ფილიალი	ს/ს "თიბისი ბანკი"
ა/ა GE621LB0120115527055000	ბანკის კოდი TBCBGE22
	ა/ა GE07TB7396236060100001
გამგებელი	დირექტორი:
_____ ბ. ლობჯანიძე	_____ გ. რაზმაძე
ბ.ა.	ბ.ა.